**საჯარო სამართლის იურიდიული პირის -**

**„აწარმოე საქართველოში“ დირექტორის**

# ბრძანება

KA020177453426820

**№ ს-62** **30 / ნოემბერი / 2020 წ.**

## სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში პროექტების (ბიზნესგეგმების) შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის № 365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ $12^3$ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების“ მე -3 მუხლის მე- 3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის 2020 წლის ეტაპის ფარგლებში, კონტრაქტორის მიერ პროექტების (ბიზნესგეგმების) შეფასების კრიტერიუმები, დანართის შესაბამისად.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში მეწარმეობის დეპარტამენტს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

მიხეილ ხიდურელი